ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 6

ქ. ონი 14 სექტემბერი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ,,დედამიწის მეგობრები“ წერილი ,,დავასუფთაოთ მსოფლიო“ -ს შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს : 1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-,,დედამიწის მეგობრები“-ს წერილი ,,დავასუფთაოთ მსოფლიო“ -ს შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-,,დედამიწის მეგობრები“-ს წერილი ,,დავასუფთაოთ მსოფლიო“ -ს შესახებ და აღნიშნა, რომ 16-18 სექტემბერს მსოფლიოს მასშტაბით იმართება დასუფთავების აქცია. გვთხოვენ აღნიშულ აქციაში მონაწილეობის მიღებას, რომელსაც ყოველწლიურად უერთდება ჩვენი მუნიციპალიტეტი. წელსაც იგეგმება ჩართვა აქციაში.

კომისიამ იმსჯელა საკითხთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომისიის წევრებმა ორ მსგავს აქციაში მიიღეს მონაწილეობა. კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით აქციას საკრებულო შეუერთდება 16 სექტემბერს. განისაზღვრა ლოკაცია.

მოისმინეს : 2. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის #4 დადგენილებით დამტკიცებული ,,პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ -,,სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად განისაზღვრა ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“. რომელმაც საქართველოს მასშტაბით განახორციელა სოფლის ამბულატორიების მონიტორინგი, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ამბულატორიების დიდი ნაწილის ინფრასტრუქტურა ამორტიზირებულია, შენობების უმეტესობა სარემონტო და მოუწესრიგებელია. ჰოლდინგი სთხოვს სააგენტოს, აღნიშნული ობიექტები გადაეცეს მას მფლობელობაში, რის შემდეგაც იღებს ვალდებულებას გაარემონტოს და შესაბამის სტანდარტებში მოიყვანოს ამბულატორიები. ამასთანავე, ჰოლდინგმა თანხმობა მიიღო ჯანდაცვის სამინისტროდან აღნიშნული ობიექტების მათთვის გადაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნულის საფუძველზე ქონების ეროვნულმა სააგენტომ მუნიციპალიტეტს მომართა თხოვნით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სოფ. ღარისა და სოფ. ნიგვზნარის ამბულატორიების ქონების სააგენტოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, რომელიც თავის მხრივ ერთ ლარად, სიმბოლურ ფასად, გადასცემს ჰოლდინგს.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული ორი ობიექტიდან ერთ-ერთის, კერძოდ ნიგვზნარის ამბულატორიის დოკუმენტაცია არასრულყოფილია, რის გამოც ამ ეტაპზე ვერ მოხდება მისი გადაცემა, რაც შეეხება სოფ. ღარის ამბულატორიას, დოკუმენტაცია სრულყოფილია, მიწის ნაკვეთი, რომელზეც შენობაა დამაგრებული, შეადგენს 360 კვ. მ-ს, რაც საკმაოდ დიდი ტერიტორიაა ამბულატორიისთვის, საჭიროა, დაკორექტირდეს ნაკვეთის ფართობი და შემდგომ შესაძლებელი გახდეს მისი გადაცემა.

კომისიამ გადაწყვიტა, მართებულია სოფლის ამბულატორიების გადაცემა ქონების სააგენტოსთვის, რომელიც თავის მხრივ, სიმბოლურ ფასად გადასცემს ჰოლდინგს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე